

GC აღმანახი

№3 / მარტი, 2021 წ.



სარჩევი

უკრაინაში ვითარება კვლავინდებურად იძაბება.....	3
აშშ დაზვერვის საბჭოს მომავლის ანალიტიკური პროგნოზი.....	4
აშშ-ს სენატში საქართველოს თაობაზე მოსმენა გაიმართა.....	6

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

უკრაინაში ვითარება კვლავინდებურად იძაბება



© ANATOLII STEPANOV/AFP VIA GETTY IMAGES

უკრაინასა და რუსეთს შორის რამდენიმე წლიანი პერმანენტული დამაბულობის შემდეგ ყირიმისა და უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების ირგვლივ არსებული სიტუაცია ხელახლა იძაბება. უკანასკნელი ცნობებით რუსეთმა უკრაინის საზღვართან დაახლოებით 5000-მდე ჯარისკაცს მოუყარა თავი. აღნიშნულმა მოვლენებმა ნატო და აშშ აიძულა აქტიურად დაეწყო სიტუაციის მონიტორინგი ადგილზე და ფაქტობრივად ყოველ დღიური რეჟიმში შესაბამისი სადაზვერვო ფრენები ხორციელდება უკრაინის მიმართულებით.

საუბარი იმაზე, რომ რუსეთის მხრიდან აღნიშნული მოქმედებები მხოლოდ ძალის დემონსტრირების ხასიათს ატარებს ბაიდენის მიერ გააქტიურებული ამერიკული ანტირუსული ნაბიჯების მიერ საექვოდ ჩანს, ვინაიდან სამხედრო ძალების ის კონცენტრაცია, რომელსაც რუსეთი თავს უყრის რეგიონში გაცილებით სცილდება ამდაგვარი ნაბიჯების ლოგიკას.

ზოგადად, ადგილზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ყველაზე მოსალოდნელი სამხედრო სცენარი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი შეეცდება ყირიმის მიმართულებით სახმელეთო კორიდორის გაჭრას და სახმელეთო კავშირის დამყარებას, თუმცა მოვლენების განვითარების სხვა სცენარებიც შესაძლებელია. არსებობს მოსაზრება, რომ რაც უფრო დიდხანს იქნება უკრაინაში მშვიდობა, ეს რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება და ამიტომ იგი შეეცდება უკრაინა მუდმივი და პერმანენტული დამაბულობის რეჟიმში ყავდეს, რათა არ დაუშვას

მისი სტაბილური და თავისუფალი განვითარება, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიებზე განცდილი მორიგი სამხედრო მარცხი უკრაინის ხელისუფლებას შეუქმნის საშინაო პრობლემებს და რუსეთს გავლენის გაზრდის საშუალებას მისცემს.

დღეს ზუსტი პროგნოზირების გაკეთება შეუძლებელია, თუმცა როდესაც უკრაინის საზღვართან რუსეთის შორეული აღმოსავლეთიდანაც ხდება ძალების მობილიზება, აღნიშნული გარემოება უკიდურესი შემთხვევების საგანი უნდა იყოს როგორც უკრაინაში, ასევე მთლიანად დასავლეთში და უმნიშვნელოვანესია, რომ უკრაინამ მხარდამჭერი განცხადებების გარდა ეფექტური დახმარებაც მიიღოს მისი პარტნიორებისაგან.

აშშ დაზვერვის საბჭოს მომავლის ანალიტიკური პროგნოზი



ერთი კვირის წინ აშშ-ს დაზვერვის საბჭომ გლობალური ტრენდების [რეპორტი მოამზადა](#), რომელიც მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა მიმართულებით არსებულ ტენდეციებსა და მოლოდინებს ეხება.

აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, სამყარო კორონავირუსის მიერ არეულობის ეპოქაში შევა, რომელიც კიდევ უფრო დამძიმდება კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების ფონზე და გამოიწვევს ადამიანთა ჯგუფების მასობრივ მიგრაციებს. გაიზრდება და გამწვავდება საზოგადოებებსა და მათ ლიდერებს შორის არსებული დისტანცია, ვინაიდან ელიტებს გაუჭირდებათ შესაბამისი საზოგადოებრივი მოთხოვნების რეალიზაცია.

დაზვერვის ანალიტიკოსების აზრით, პანდემიას შეუძლია მსოფლიო პოლიტიკისა და აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების ტრანსფორმაცია გამოიწვიოს. ამასთან ერთად ხაზგასმულია, რომ პანდემიამ ააჩქარა უკვე არსებული ისეთი უარყოფითი ტრენდები. ამიტომ მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი ზიანი მიადგეს სამყაროს სხვადასხვა დაავადებების გავრცელებისგან, ახალი ტექნოლოგიებისა და ფინანსური კრიზისებისგან.

ამასთან, უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იქნება არსებული ინსტიტუტების სტაბილურობა და უნარი გაუმკლავდნენ გლობალურ გამოწვევებსა და პრობლემებს.

ანგარიშის მიხედვით, სოციუმების ფრაგმენტაცია მომავალშიც გაგრძელდება პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ნიშნებით. ამასთან ერთად, თუ აღნიშნული ტენდენციები გაგრძელდება და გაღრმავდება, სახეზე მივიღებთ ახალ კონფლიქტებს განსაკუთრებით ძალადობით, რომლებიც შეილება ელემენტარულად საკვების ნაკლებობის გამოც გაჩნდეს.

ავტორების აზრით, გლობალურ გეოპოლიტიკურ სცენაზე, დაპირისპირება იქნება ძირითადად აშშ-სა და ჩინეთს შორის და ვერცერთი ვერ იქნება იმდენად ძლიერი რომ გლობალური დომინირება შეძლოს, რის შედეგადაც უფრო დაძაბული გეოპოლიტიკური გარემო იქნება.

ტექნოლოგიების განვითარებამ სიკეთეებთან ერთად შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური დაძაბულობის საფუძვლებიც შექმნას, რომელთაც პრინციპში სამყარო უკვე დღეს ხედავს.

ანგარიშში მოცემული ასევე, გლობალური გეოპოლიტიკური განვითარების 5 შესაძლო სცენარი, რომელიც 2040 წლისთვის ავტორების აზრით ყველაზე მოსალოდნელია.

პირველი სცენარის მიხედვით სამყარო გლობალური დემოკრატიული სამყაროების ახალი დაახლოების ერაში შევა, რომლის სათავეშიც ისევ აშშ იქნება. სადაც კვლავინდებურად ჩინეთისა და რუსეთის საუკეთესო „ტვინების“ გადინება მოხდება. როგორც წარსულში.

რადიკალური სცენარის მიხედვით, კი აშშ ვეღარ მოახერხებს გლობალური დომინირების შენარჩუნებას და საერთაშორისო დემოკრატიის განმტკიცებას, რომლებიც განუხრელი დეკადანსისკენ წავლენ, სხვადასხვა საშინაო და საგარეო პრობლემების ფონზე.

რა თქმა უნდა, ნაშრომში ავტორები უფრო შუალედურ სცენარებსაც განიხილავენ.

პროფ. ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს ამერიკისმცოდნეობის და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

აშშ-ს სენატში საქართველოს თაობაზე მოსმენა გაიმართა



© <https://civil.ge/ka/archives/408354>

2021 წლის 23 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპისა და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ქვეკომიტეტში საქართველოში არსებული ვითარების თაობაზე მოსმენა ჩატარდა.

ჩატარებული მოსმენის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს მიერ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებაზე, რომელიც ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ფუნდამენტური კომპონენტია და ქვეყნის შემდგომი პროგრესის წინაპირობაა.

ასევე, ისაუბრეს საპარლამენტო მანდატების მნიშვნელობასა და საერთო შეთანხმების მისაღწევად ყველა მხარის ჩართულობაზე. გარდა ამისა, გაკეთდა განცხადება ყველა პოლიტიკური ლიდერის მიერ კანონის უზენაესობის პატივისცემაზე.

ამასთანავე, აღინიშნა, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ანგარიშზე დაყრდნობით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტული იყო. თუმცა ყურადღება გამახვილდა საარჩევნო რეფორმის გაგრძელების

მნიშვნელობასა და იმ რეკომენდაციების გათვალისწინებაზე, რომლებიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა ხარვეზებთან დაკავშირებით შეიმუშავეს.

ასევე, საარჩევნო რეფორმასთან ერთად ისაუბრეს სასამართლო სისტემის რეფორმირების გაგრძელების აუცილებლობაზე.

ამასთანავე, ამერიკის შეერთებული შტატების სენატში კიდევ ერთხელ გამოხატეს ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ ჯორჯ კენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საქართველო სამხრეთ კავკასიაში მთავარ პარტნიორად რჩება, ხოლო მნიშვნელოვან პარტნიორად - შავი ზღვის რეგიონში.

ასევე, მან ისაუბრა საქართველოს წვლილზე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. ჯორჯ კენტმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გააგრძელებს ქართველი ხალხის არჩევანის მხარდაჭერას ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

საბოლოო ჯამში, მთავარი აქცენტი დემოკრატიაზე გაკეთდა, რაც ბუნებრივია. მით უფრო იმ ფონზე, რომ 3 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის 8-პუნქტიანი გეგმის წარდგენისას გლობალური ჯანდაცვისა და ეკონომიკური გამოწვევების დაძლევის პრიორიტეტების შემდეგ დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება მესამე პრიორიტეტად მიიჩნია.

მეტიც, აღნიშნული დოკუმენტის პრეზენტაციისას მან აღნიშნა, რომ დემოკრატის მხარდაჭერა და გაძლიერება ამერიკის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარება გადამწყვეტია.

დემოკრატიული მმართველობის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია საკანონმდებლო ორგანოში გვექონდეს პოლიტიკური შეჯიბრი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. სწორედ მეტი ოპოზიციური ხმა პარლამენტში გაზრდის იმის შესაძლებლობას, რომ პარლამენტში ქართული პოლიტიკა უფრო შინაარსიანი გახდეს და დებატების გზით საგნობრივი განხილვებით მივიდეთ საკითხების ისეთ გადაწყვეტამდე, რომლებიც ხვალ ხელშესახებ შედეგებს მოუტანენ ჩვენს მოქალაქეებს.

მით უფრო იმ ფონზე, რომ გლობალური კრიზისიდან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ასევე, სამწუხაროდ, არსებობს პანდემიის მესამე ტალღის რისკი, განსაკუთრებით ახალ შტამებთან მიმართებით.

ამასთანავე, საგულისხმოა უსაფრთხოების რთული გარემო ოკუპაციისა და რეგიონში არსებული საფრთხეების გათვალისწინებით. ამ მოცემულობით პოლიტიკური პროცესის ყველა მონაწილეს მართებს სახელმწიფოებრივად აზროვნება.

პოლიტიკოსების ვალდებულებაა უპირველეს ყოვლისა მათ მიერ მისაღები გადაწყვეტილებები ქვეყნისა და ხალხის საჭიროებებიდან გამომდინარე გაანალიზონ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მოთამაშისათვის ვიწრო პარტიული დღის წესრიგი კვლავ მთავარ ფაქტორად რჩება.

უნდა ვისწავლოთ თანაცხოვრება, მიუხედავად პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობისა, და უშუალო წვლილი შევიტანოთ ჯანდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, განათლებისა და სხვა პრობლემების დაძლევაში. ასევე, უნდა გავაგრძელოთ საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება სამართლის, კანონის უზენაესობის განსამტკიცებლად. ეს კი მხოლოდ ევოლუციური გზითა და ერთობლივი ნაბიჯების გადადგმითაა შესაძლებელი.